„САКГИНИ“ Индекс № Цена

№ 18 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 2 მან. კვირა, 25 იანვარი 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის დაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

კვირას, 1920 წ. 25 იანვარს, დღის 12 საათზე, ცფ. სასოფლო სამეურნეო ბანკის ბინაზე (დამფ. კრ. ქუჩა № 5) დანიშნულია

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა

## წარმომადგენლების ყრილობა

განსახილველია საკითხები: 1. საქართველოს პასუხისმგებელ ხიზილეთა არტელის წარმომადგენლის მოხსენება არტელის საქმეების შესახებ. 2. საქართველოს ცენტრალური სადაზღვევო საურთიერთო ბანკის ორგანიზაცია. 3. სხვა მიმდინარე საკითხები. ყრილობის წევრნი და ზემოაღნიშნულ საკითხებით დაინტერესებულნი პროვინციელი საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი გზავნიან ხსენებულ ყრილობაზე ამ განცხადების მიხედვით თითო წარმომადგენელს სათანადო რწმუნებულებით. 106 3—2

ოფიციალური განყოფილება.

## კ ა ნ ო ნ ი

**სახელმწიფო ბანკის დაარსებისა.**

1. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ წესების თანახმად დაარსებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკი.

2. გაღებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითად თანხად, წესდების მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხაზინიდან ორმოცდაათი (50) მილიონი მანეთი.

3. არსებულ კანონმდებლობის ყოველი ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებას, გაუქმებულ იქნეს ბანკის მოქმედების დაწყების დღიდან.

4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდ. უფრ. ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ავტო-ტეხნიკურ განყოფილების მიერ

1920 წ. 1 თებერვალს დღის 11 საათზე

## დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

შეშლილი ავტომობილების გასაყიდათ: 1) ლაურინ კლემენტ 8 ძალ., შეფასებულია—10.000 მან., 2) ოპელ 6 ძალ., შეფასებულია—20 000 მ., 3) სტევერ 6 ძალ., შეფასებულია 30 000 მან ,4). ბენც 8 ძალ., შეფასებულია 12.000 მან., 5) ბენც 20 ძალ., შეფასებულია 50 000 მ., 6) ნ. ა. გ. 18 ძ., შეფასებულია 20 000 მ, 7) ნ. ა. გ. 6 ძ., შეფასებულია 12.000 მ., 8) ფორდ 22 ძალ., შეფასებულია 5.000 მან., 9) რუსულ ბალტიური 16 ძ., შეფასებულია 20 ათას მან. და 10) პეჟო 16 ძალ., შეფასებულია 30.000 მან. მისამართი: ელისაბედის ქუჩა, № 119. 8 6—3

## შ ტ ა ტ ი.

**ს ა გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ო უ ბ ნ ე ბ ი ს ა.**

| § | მუხლი. | თანამდებობათა სახელწოდება და საგანი ხარჯისა. | ყოველთა თვეში ჯამაგირი | 40 % დამატება. | რიცხვი. | უნდა მიეცეთ: თვეში ერთს. | თვეში ყველას. | წლიწადში ერთს. | წლიწადში ყველას. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | **სამომრიგებლო უბნები.** | | | | | | | |
| | 1 | **პირადი შედგენილობის შენახვა.** | | | | | | | |
| | | მომრიგებელი მოსამართლე | 1900 | — | 120 | 4000 | 480000 | 48000 | 5760000 |
| | | მდივანი | 1100 | — | 120 | 2200 | 264000 | 26400 | 3168000 |
| | | თარჯიმანი | 950 | — | 120 | 1800 | 216000 | 21600 | 2592000 |
| | | ბოქაული | 1200 | — | 111*) | 1800 | 199800 | 21600 | 239760 |
| | | 1 მუხლის ჯამი | — | — | 471 | 9800 | 1159800 | 117600 | 13917600 |
| | 2 | **საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი.** | | | | | | | |
| | | გადამწერი ქ. ტფილისის უბნებში (ორ-ორი) | 925 | 370 | 44 | 1295 | 56980 | 15540 | 683760 |
| | | „ ქ. ქუთაისის 5, სოხუმის 2 და ფოთის 2 უბნებში (ორ ორი) | 825 | 330 | 18 | 1155 | 20790 | 13860 | 249480 |
| | | „ რესპუბლიკის დანარჩენ ადგილში | 775 | 310 | 178 | 1085 | 193130 | 13020 | 2317560 |
| | | მანქანით გადამწერი ქ. ტფილისის უბნებში | 925 | 370 | 22 | 1295 | 28490 | 15540 | 341880 |
| | | „ „ ქუთაისის 5, სოხუმის 2 და ფოთისა 2 უბანში | 825 | 330 | 9 | 1155 | 10395 | 13860 | 124740 |
| | | „ „ რესპუბლიკის დანარჩენ ადგილში | 775 | 310 | 89 | 1085 | 96565 | 13020 | 1158780 |
| | | მსახური ქ. ტფილისის უბნებში | 875 | 350 | 22 | 1225 | 26950 | 14700 | 323400 |
| | | „ ქუთაისის 5, სოხუმის 2 და ფოთის 2 უბანში | 775 | 310 | 9 | 1085 | 9765 | 13020 | 117180 |
| | | „ რესპუბლიკის დანარჩენ ადგილში | 725 | 290 | 89 | 1015 | 90325 | 12180 | 1084020 |
| | | გზირი ქ. ტფილისის უბნებში | 875 | 350 | 22 | 1225 | 26950 | 14700 | 323400 |
| | | „ ქუთაისის 5, სოხუმის 2 და ფოთის 2 უბანში | 775 | 310 | 9 | 1085 | 9765 | 13020 | 117180 |
| | | „ რესპუბლიკის დანარჩენ ადგილში | 725 | 290 | 89 | 1015 | 90335 | 12180 | 1084020 |
| | | საწერ მასალისათვის | 875 | — | 120 | 1000 | 120000 | 12000 | 1440000 |
| | | ბინების დაქირავება, გათბობა-განათება | 850 | — | 98 | 800 | 78400 | 9600 | 940800 |
| | | „ ტფილისისათვის | 600 | — | 22 | 1200 | 26400 | 14400 | 316800 |
| | | მე-2 ე მუხლის ჯამი | — | — | — | 16720 | 885250 | 200640 | 10623000 |
| | 3 | საგზაო და დღიური ხარჯი უბნების საზღვრებში წიწოსვლისათვის | 100 | — | — | 500 | 60000 | 6000 | 720000 |
| | | მე 3-ე მუხლის ჯამი | 100 | — | — | 500 | 60000 | 6000 | 720000 |
| | | მე-7 ე § ის ჯამი | — | — | — | 27020 | 105050 | 324240 | 25260600 |

*) ქ. ტფილისის ყრილობისათვის ნავარაუდევია 22 ბოქაულის მაგიერ 13.

1919 წ. დეკემბრის 9-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

არა ოფიციალური განყოფილება

## შინაგან საქმეთა სამინისტროში.

**სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონის შესამუშავებლად.**

სამხედრო სამინისტროსთან არსებულმა სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონის შემდგენელმა კომისიამ თხოვნით მიმართა განათლების სამინისტროს კომისიას მიაწოდოს მას მუშაობისათვის საჭირო მასალა, სამინისტრომ თანახმად ხსენებულ კომისიის თხოვნისა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ ივანე ჯავახიშვილს სთხოვა მიიღოს მონაწილეობა ხსენებულ კომისიაში.

**საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორის თხოვნა.**

საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორმა ქ-მა ნინო ნაკაშიძემ შუამდგომლობა აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა ხსენებულ ჟურნალის გამოწერა სავალდებულო გახდეს ყველა სკოლებისათვის.

**შავი ქვის საბჭ. საავადმყოფოს ასაშენებლად.**

შინაგან საქმეთ სამინისტრომ მთავრობას მოხსენება წარუდგინა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საავადმყოფოს აღსადგენად ყოველთვიურად სესხის სახით 90,000 მან. გაღების შესახებ.

ამ თანხით მოეწყობა 30 საწოლი. საავადმყოფოს გაფართოებას კისრულობს თვით შავი ქვის მრეწველთა საბჭო. ხსენებული საავადმყოფო მთელ ქუთაისის გუბერნიას უწევდა დახმარებას.

## მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

**აგრონომიულ მოღვაწეთა ყრილობის გახსნა.**

კვირას, 25 იანვარს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბინაზე (ბარიატინის ქუჩა № 5) გაიხსნება სრულიად საქართველოს აგრონომიული დახმარების მოღვაწეთა პირველი ყრილობა. ყრილობაზე მოწვეულნი არიან, ყველა აგრონომიულ დარგებში მოღვაწენი და აგრეთვე წარმომადგენელნი იმ დაწესებულებათა, რომელთაც კავშირი აქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობასთან. ყრილობას გახსნის პროფ. ს. ავალიანი.

**სამინისტროს სპეციალისტების დასწრება ყრილობაზე.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-მეურნეობის განყოფილებამ ნება დართო თა-

ვის სპეციალისტებს სამინისტროს ხარჯზე დაგზავნის აგრონომიულ კურსებში.

**ყრილობის მუშაობის წესი.**

ყრილობის მუშაობა უმთავრესად იწარმოება სექციებში (ხოლოდ პლენუმზე განხილული წაკითხულ იქნება საზოგადო ხასიათის რეფერატები მოხსენებები).

**მილოცვების შესახებ.**

საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, დროის ეკონომიისათვის მილოცვები მიიღოს მხოლოდ წერილობითი; მისალმება სიტყვით ყრილობაზე არავის ეძლევა.

**ყრილობის წევრთა ჩაწერა.**

ყრილობის წევრად ჩაწერა შეიძლება დღის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.

**სამეურნეო ლიტერატურის გამოფენა.**

ყრილობასთან მოეწყობა ქართულ ენაზე გამოცემულ ყველა სასოფლო-სამეურნეო წიგნისა და ჟურნალების გამოფენა.

**ჟურნალი „მეურნე".**

ყრილობის გახსნის დღეს გამოვა სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის „მეურნე"-ს პირველი ნომერი. ყრილობის წევრთ ჟურნალი უფასოთ დაურიგდებათ.

# სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარება

**სომხეთის დიპლომატიური მისიისაგან.**

23 იანვარს, დილის 10 საათზე, ბრიტანეთის მთავრობის კომისარმა ამიერ-კავკასიაში ბ-მა უორდროპმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„უმაღლესმა საბჭომ პარიზში გადაწყვიტა, რომ სომხეთის მთავრობა ცნობილ უნდა იქნას, როგორც მთავრობა „დე-ფაქტო"; მაგრამ ეს გადაწყვეტილება არის შეთანხმებული იმ შეხედულებასთან, რომ სომხეთის საზღვრები მომავალში შეიძლება ცვლილებას განიცდიან. ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების შემდეგ მოხდება. რომ ეს ცნობა სრულად არ შეიცვალოს ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების შემდეგ, ამის შესახებ ცნობას გადასცემთ სომხეთის მთავრობას".

# დამფუძნებელი კრება

**23 იანვრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

მდივანი კითხულობს კომისიებიდან შემოსულ კანონ-პროექტებს. წაკითხულ იქნა აგრეთვე მოსალმება ბაქოს ქალაქის თვითმმართველობისა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო, რომელსაც დამფუძნებელი კრება ტაშით შეხვდა. პრეზიდიუმის წინადადებით დემოკრატიის წარმომადგენლებს გადაეცა სამადლობელი. კრებამ დაადგინა, რომ მისალმებაზე პასუხად გაეგზავნოს მადლობა.

ა. ხალვაშის მოხსენებით მეორე განხილვაში მიღებულ იქნა კანონპროექტი სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის განსაზღვრის შესახებ.

**დეკრეტი ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1918 წ. თებერვლის 23-ს დადგენილების შეცვლის.**

ამ საკითხზე აგრარული კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს კ. ნინიძე: წარმოდგენილი დეკრეტი მიზნად ისახავს ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1918 წ. თებერვლის 23-ს დადგენილების შეცვლას. ამ საკითხის გასაშუქებლად საჭიროა მოკლეთ მოვიგონოთ ის ვითარება, რომლის წინაშეაც ვიდექით. როგორც ცნობილია, რევოლუციამ წამოაყენა აგრარული საკითხი. რომ მიწის რეფორმა მთავრობამ თავისი ხელით გადაწყვიტოს, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა მიწის ჯგუფის რეფორმა, იყო მიღებული. ერთ-ერთი მთავარი დებულება, რომელიც შემდეგში აგრარულ რეფორმას საფუძვლად დაედო, იყო მიწების ჩამორთმევა. იმ დროისათვის მთავრობამ მიწის ყიდვა-გაყიდვა აკრძალა, რადგან ეს ფაქტი საფრთხეს უქმნიდა რეფორმის გატარებას. იმ დროს ბევრმა მემამულემ სცადა თავისი მიწის გაყიდვა. ეს იმ დროს თავისთავად გასაგები იყო. შემდეგ კი, როდესაც ჩამორთმეული მიწების დიდი ნაწილი განაწილებულია, ეს დადგენილება შეიცვალოს. 1917 წ. 7 მარტს გამოიცა კანონი, რომლის ძალით მემამულეებს უნდა ჩამორთმეოდათ მიწები. მე კანონს უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა, რადგანაც იქ არ იყო აღნიშნული დაწვრილებით ნორმა. ამ ეს დეკრეტი სრულიად გამოსცემს ისეთ დადგენილებას, რომელიც მოსპობს

და ყიდვა-გაყიდვას, და 1918 წ. 23 თებერვლის დადგენილებით აიკრძალა მიწების ყიდვა-გაყიდვა და ყოველგვარი ნივთიერი უფლების სხვაზე გადაცემა, ამ დადგენილების მოტივი ის იყო, რომ კანონის გამოცემამდე მემამულეებს არ დაენაწილებინათ მიწები, მიზანი კი ერთი იყო: არ შექმნილიყო დაბრკოლებები, რომელიც ხელს შეუშლიდა აგრარული რეფორმის საფუძვლიანად ჩატარებას. აგრარული რეფორმა ორი მომენტი იყო: ერთი მემამულეებისაგან მიწის ჩამორთმევა და ამ რიგათ სახელმწიფო ფონდის შექმნა, მეორე ამ ფონდის განაწილება. ჩამორთმევა თითქმის უკვე დასრულებულია, როგორც ხედავთ 23 თებერვლის დადგენილების მიზანი უკვე მიღწეულია და ამიტომ ეს დადგენილება თავის თავად მექანიკურად უნდა გაუქმდეს იქ, სადაც მიწების ჩამორთმევა უკვე დასრულებულია. იმ რაიონებში კი, სადაც ეს ჩამორთმევა დასრულებული არ არის, დეკრეტი ამ ყიდვა გაყიდვის შესახებ აწესებს ერთგვარ შეზღუდვას. იქ ყიდვა გაყიდვა უნდა მოხდეს მიწათ-მოქმედების მინისტრის ნებართვით.

ჩვენში არსებული კანონების თვალსაზრისით და იმ ურთიერთობის მიხედვით, რომელიც ჩვენში არის, ამ დეკრეტით არავითარი ფორმალური მხარე არ არის დარღვეული. მაგრამ აქ შეიძლება დავა სხვა ნიადაგზე გადაიტანონ: შეიძლება თუ არა მიწაზე კერძო საკუთრება არსებობდეს. არსებობს ზოგიერთი ფილოსოფიური შეხედულება, რომელიც ამბობს: რომ მიწა ღვთისაა და მისი ყიდვა გაყიდვაც არ შეიძლება (ლ. შენგელაია: ვისია ეს შეხედულება?) მგონია სოციალ-რევოლუციონერების უნდა იყოს.

კერძო საკუთრების მოსპობა—არ მოსპობს საკითხს, ჩვენ ვიხილავთ იმის მიხედვით, თუ რას მოუტანს ის ჩვენს ხალხს დღევანდელ პირობებში. უნდა განვაცხადო, რომ კერძო საკუთრება მიწაზე არ არის ჩვენი იდეალი. მაგრამ დღევანდელ პირობებში ჩვენ კერძო საკუთრება დაუშვით, დაშვება კერძო საკუთრების სრულებით არ ნიშნავს საზოგადოებრივი ინიციატივის შეზღუდვას. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ ჩვენი ერობები ისე არ არიან გამაგრებულნი არ აქვთ ისეთი აპარატი, რომ მეურნეობას საზოგადოებრივი ხასიათი მისცენ. ჯერ ფორმულის მიღება და შემდეგ კი მისი გამტარებელი ძალების ძებნა, არ უნდა ახასიათებდეს კანონმდებლობას. ასეთი რამ კანონმდებლობის ისტორიამ არ იცის. ჩვენში ჯერ-ჯერობით მიწას პრიმიტიულად ამუშავებენ, ტეხნიკა არ არის განვითარებული და ამიტომ ასეთ პირობებში მიწის საზოგადოებრივათ დამუშავებაზე ლაპარაკიც კი დანაშაულია ხალხის, გლეხების წინაშე. შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ მიწის ნორმის ფიქსაცია გონში ტეხნიკურად, ფიზიკურად მოუხერხებელია. შეიძლება ერთი ძმა მოკვდეს სამისაგან, მაშინ იმისი მიწა მემკვიდრეობის ძალით უნდა გადავიდეს მისი ძმების ხელში, მაშინ ხომ ნორმა დაირღვევა? და თუ გინდათ ნორმის გათანასწორება, მაშინ უნდა მიიღოთ ეერების პროგრამა და ყოველ დღე თოკით ხელში უნდა იაროთ მიწის საზომად. ეს კი ტეხნიკურათ მოუხერხებელად ფიზიკურათ განუხორციელებელია. დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს 23 თებერვლის დადგენილებამ უკვე დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, რადგანაც ჩამორთმევა დამთავრებულია, ყიდვა-გაყიდვა ქურდულად, მალულად მაინც სწარმოებს და სარგებლობენ რა ფულის კურსის თან და თან დაცემით, ამის გარშემო დიდი სპეკულიაცია სწარმოებს, ამიტომ 23 თებერვლის დადგენილება უნდა გაუქმდეს.

დეკრეტის წინააღმდეგ ილაპარაკა ი. ნუცუბიძემ. მას უპასუხეს ნ. ნიკოლაძემ და პ. საყვარელიძემ. მუხლობრივი განხილვა საკვანისა გამო შემდეგისათვის გადაიდო.

**ეგგ ბ-ზემქრმი** კითხულობს სომხეთის რესპუბლიკის ცნობის შესახებ დეპეშას და ამბობს: მე ღრმათა ვარ დარწმუნებული, რომ ეს ცნობა გამოიწვევს მთელს ჩვენს ხალხში დიდ კმაყოფილებას და ამ ცნობას ჩვენი ხალხი დიდის სიხარულით შეხვდება. ეს აქტი ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს ამიერ-კავკასიის ერებს, რომ ჩვენ ერთად უნდა ვიდოდეთ, რომ ჩვენი ბედი ერთმანეთთან გადაბმულია, ერთის უბედურება მეორეს უბედურებას ნიშნავს და ამიტომ ერთად უნდა ვიბრძოლოთ დამოუკიდებლობის დასაცავად. გაუმარჯოს დამოუკიდებელ სომხეთს (ცხურვალე ტაში).

**თავმჯდომარე:** გაუმარჯოს დამოუკიდებელ სომხეთს და მის თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს (ტაში).

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის მჭიდრო კავშირს (ტაში).

# დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის დეპეშა თემთა პალატას ლონდონში.

**ბ-ნ სპიკერს.**

საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი აღნიშნავს რა ქართველი ხალხის არა ჩვეულებრივ სიხარულს უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების გამო, მხურვალე სალამს და უღრმეს მადლობას უძღვნის დიდი ბრიტანეთის ხალხს თემთა პალატის სახით, რომლის მთავრობის ინიციატივით ქართველი ერი შევიდა ევროპის ხალხთა დიდ ოჯახში. ქართველი ერი არ ელოდა, რომ თავისუფლების აკვანი, ევროპის უხუცესი დემოკრატიის სამშობლო, დიდი ბრიტანეთი პატარა დემოკრატიულ საქართველოს თავისუფლებას მხარს დაუჭერდა.

პრეზიდიუმი იმედოვნებს, რომ დიდი ბრიტანეთი მომავალშიაც მეგობრული თანაგრძნობით შეხვდება საქართველოს რესპუბლიკის სამართლიან მისწრაფებას და ყოველ მძიმე მომენტში მას დახმარების ხელს გაუწვდის.

მიიღეთ ჩვენგან ბატონო სპიკერო, უმდაბლესი სალამი და ღრმა პატივისცემა თქვენდამი.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

# დეპეშები.

**(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)**

**მოსკოვი,** იანვრის 23. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი. „პრავდა"-ს გუშინდელი ნომრის მოწინავე წერილში დათმობილი აქვს 1905 წლის სისხლის მღვრელ 9 იანვრის დღეს". მეფის სურათებით და ეკლესიის ხატებით, სწერს „პრავდა". პეტროგრადის მუშები ღარიბ მშიერ და მონურ ცხოვრებისაგან განთავისუფლებას პოლიციის მხარის დაჭერით მოელოდენ. მათ კი წინ ცხელი ტყვიით შეეგებენ. ეს იყო მეფის პასუხი. გამოუცდელი ბავშვები სწრაფათ შეიქნენ მცდარ მებრძოლებათ. მას შემდეგ დაიწყო სამოქალაქო ომი. „სახალხო სამეურნეო საბჭოს ყრილობის გახსნის გამო ბუხარინი „პრავდაში" სწერს: „ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ტროცკის თვალსაზრისი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მაქ იმუმი მუშათა ცოცხალი ძალისა გამოიყენონ, მოაწყონ მუშაობა არმიაში, სადაც სისწორე, ასრულების სისწრაფე და პასუხის მგებლობა უდიდეს ეფექტებს გვაძლევს. სახალხო სამეურნეო საბჭოს ყრილობამ უნდა დაისახოს პრაქტიკული პოლიტიკის მთავარი მიზანი. ამ ჟამად განსაკუთრებული ხასიათის ზომებია საჭირო. რესპუბლიკის მუშათა ძალებით ორგანიზაცია, შრომელთა საერთო შრომის ბეგარის შემოღება არა სიტყვით, არამედ საქმით, ეს არის მთავარი საკითხი, რომელიც უნდა გადაწყდეს.

**სამხედრო ცნობები.**

**მოსკოვი,** იანვ. 23. (დასაწყისი არ მიგვიღია) კონსტანტინოვსკაიას სტანიცის რაიონში, მდ. სალის მარცხენა ნაპირზე რამდენიმე პატარა სოფელი ავიღეთ. კონსტანტინოვსკაიას სამხრეთით 40 ვერსზე ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მტერზე მოულოდნელი თავდასხმით აიღო ალექსანდროვსკაია და ნიკოლაევსკაია. ხელში ჩაიგდო ტყვეები. აღმოსავლეთით ხელში ჩავიგდეთ ორლოვკა, წამოვიყვანეთ 200 ტყვე. ხელში ჩავიგდეთ 19 ტყვიის მფრქვეველი. ველიკოკნიაჟესკის მიმართულებით ჩვენ მდ. სალის მარჯვენა ნაპირზე სოფლები ავიღეთ. ცარიცინ ტიხორეცკაიას რკინის გზის რაიონში სად. კუბერლეს რაიონი დავიჭირეთ. ჩვენმა ჯარმა რემონტნოე აიღო.

**ფრანგული პრესა.**

ხუთშაბათს მილიერანმა პალატაში წაიკითხა მინისტრთა დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია მთავრობის პროექტები და ამ პროექტების ცხოვრებაში გატარების საშუალებანი.

პირველი მატარებლები, რომლითაც გერმანელი ტყვეები სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ უკვე გაემგზავრა გერმანიაში.

იტალიელ რკინის გზელების გაფიცვა გრძელდება, განსაკუთრებით ჩრდილო-იტალიაში.

**იტალიის პრესა.**

„ნიე ფრაიე პრესი" სწერს: ქალაქ მილანის მოურავმა თავის სიტყვაში ავსტრიელ ჟურნალისტებს განუცხადა: ვენელ ბავშვების ეროვნულ და სარწმუნოებრივ პრინციპებს სათანადო პატივისცემით მოვეპყრობით და იტალია ისევე იზრუნებს პატარა ვენელებზე როგორც თავის საკუთარ ბავშვებზე. „რეიხპოსტი" იწყება ტურინში შესდგა მოქალაქეთა კომიტეტი ვენელ ღარიბ ბავშვების დასახმარებლადო.

ავსტრიის პრესა გვამცნობს მნიშვნელოვან დამარცხებაზე, რომელიც შავ მთიელებს მიუყენებიათ სერბიელებისათვის პოდგორიცის ფრონტზე.

ბრაზილიელ უნტერ-ოფიცერთა ჯგუფი, რომელმაც გაიარა იტალიაში ჰაერში ფრენის შკოლის კურსი, გულ მხურვალედ ეთხოვებოდა თავის მეგობრებსა და კოლეგებს. ისინი აქებდენ იტალიის სახელმწიფოს, როგორც მთელი ქვეყნის ცივილიზატორს.

რკინის გზელთა გაფიცვა უინციდენტოთ გრძელდება. მოსამსახურეთა შემადგენლობის დიდი ნაწილი კვლავ განაგრძობს მგზავრების გადაყვან-გადმოყვანასა და სურსათ-სანოვაგის გადატანას. მცხოვრებნი ამართლებენ იმ მკაცრ ომებს, რომელსაც მთავრობა ღებულობს შრომის თავისუფლების უზრუნველსაყოფად. მრავალი მოქალაქე, რომელთაც რკინის გზის საქმე იციან, მთავრობას თავის ცოდნასა და შრომას აწვდიან. ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვა მშვიდობიანათ ჩატარდა. მინისტრები და მათი ამხანაგები მოსამსახურეებმა დიდის ამბით მიიღეს. პარლამენტის სოციალისტურმა ჯგუფმა განიხილა რა რკინის გზელთა გაფიცვა, გადასწყვიტა მას არ დაუჭიროს მხარი, მხოლოდ თვალ-ყური ადევნოს, რომ შრომის თავისუფლება იყოს დაცული. მილანში მოხდარმა სოციალისტების კრებამ ხაზი გაუსვა საშუალო და მაქსიმალისტურ ტენდენციებს. მაქსიმალისტებს ძალიან ცოტა მომხრეები ჰყავთ.

# უცხოეთში

**საფრანგეთი**

ფეციდან მიღებული ცნობით, ადგილობრივ მცხოვრებთა გაძლიერებული რაზმები, რომლებიც ჯებალის ჩამომავლობას გამოეყვნენ, შეგროვდენ უეცზანთან და ახლო მდებარე ადგილებს ემუქრებოდენ. საფრანგეთის არტილერიამ გაფანტა მეამბოხენი, რომლებმაც ბევრი მოკლული დასტოვეს ბრძოლის ველზე.

**ავსტრია**

„ნეიენეს ვინერ ტაგებლატი" იტყობინება, რომ მთავრობის წარმომადგენლები უნდა გაემგზავრონ პარიზში თამბაქოს სახელმწიფო მონოპოლიის იჯარით გაცემის შესახებ მოსალაპარაკებლათ. ავსტრია ფიქრობს ამ ოპერაციიდან 150—200 მილ ფრანკის მიღებას.

**ჰოლანდია**

მუშათა დეპუტატმა სანესმა განუცხადა ქვემო პალატას, რომ კარლ კაუტსკის წიგნმა ომის მიზეზების შესახებ დაამტკიცა, რომ ვილჰელმ მეორე დამნაშავეა, რის გამო მთავრობამ უნდა განიხილოს ვილჰელმის ჰოლანდიაში დარჩენის საკითხი.

**შეერთებული შტატები.**

ნიუიორკის შტატის პარლამენტის თავმჯდომარემ მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა სოციალისტების წინააღმდეგ, რის შემდეგ პალატამ ხმის უმრავლესობით დაადგინა გამორიცხოს თავის შემადგენლობიდან 5 წევრი სოციალისტი, პირობების გამორკვევამდე. სოციალისტ-დეპუტატები არ გავიდნენ დარბაზიდან, რის გამო თავმჯდომარემ უბრძანა ძალით გაეყვანათ ისინი.

**ისპანია.**

მეფის დეკრეტით მთელ კატალონიაში საალყო წესებია გამოცხადებული, რადგან კონსტიტუციური გარანტიების შეცვლა, საკმაო არ შეიქმნა წესრიგის დასამყარებლათ.

**კანადა.**

კანადის მთავრობამ შესცვალა ყველა ის განსაზღვრა, რომელიც შემოღებული იყო ომის დროს და გამოაცხადა სრული ამნისტია მათთვის, რომლებსაც სამხედრო ხასიათის დანაშაული მიუძღოდათ.

**საბერძნეთი.**

იტალიასა და საბერძნეთს შორის მოხდა შეთანხმება დოდეკანეზის საბერძნეთისათვის გადაცემის შესახებ. იტალიას რჩება მხოლოთ კუნძული ასტროპალია—სტამპალია, როგორც საზღვაო ბაზა.

# ერობა

**გადასახადის გადიდება.**

სამიწათ-მოქმედო სამინისტროს საგადასახადო განყოფილებას აზრათ აქვს მომავალ ზაფხულიდან გაადიდოს გადასახადი საძოვარ მინდვრებზე რისთვისაც სთხოვს სამაზრო ერობებს და სახელმწიფო მამულების გამგეებს წარმოადგინონ სამინისტროში ამ საკითხის

შესახებ თავიანთი მოსაზრებანი არა უგვიანეს 15 თებერვლისა.

### ერობათა მთავარ კომიტეტში.

საქართველოს რესპუბლიკის ერობათა მთავარი კომიტეტი გადავიდა ახალ ბინაზე, რუსთაველის პროსპექტი № 24.

— სასურსათო საბჭოს ყველა ქონება გადავიდა ერობათა მთავარ კომიტეტის განკარგულებაში რის შემდეგაც მთავარი კომიტეტის მუშაობა გადიდდა—ამის გამო კომიტეტს აზრათა აქვს მოახდინოს არსებული კანცელარიის რეორგანიზაცია და გახსნას ახალი განყოფილება. ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება დღევანდელ, 25 იანვრის, სხდომაზე, სადაც მოწვეულია ორ-ორი წარმომადგენელი ყველა სამაზრო ერობათა. ამ სხდომაზე განხილულ იქნება აგრეთვე პროექტი საერობო ბანკის დაარსებისა და სხვა საკითხები.

### შორაპნის სამაზრო ერობაში.

#### შუამდგომლობა.

შორაპნის სამაზრო ერობა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე რათა მაზრაში დიდი მოუსავლობისა და მოსალოდნელ შიმშილობის გამო აკრძალულ იქნას სურსათის გაზიდვა სადგურებზე: სვირიდან-წიფამდე და შორაპნიდან-საჩხერამდე.

#### წვრილი ერთეულები.

სწარმოებს მუშაობა მაზრაში წვრილი საერობო ერთეულების შესაქმნელად, პირველი თემი, რომელიც შეიქმნა მაზრაში ეს „შორაპნის თემია". 1 ლი ყრილობა უკვე მოხდა ხსენებულ თემის ხმოსნებისა, სადაც თავმჯდ. კ. ბუჩიძემ გააცნო ხმოსნებს თემის დანიშნულება და უფლებანი, რის შემდეგაც მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები.

### ბორჩალოს ერობაში.

#### მომრიგებელი მოსამართლენი.

ბორჩალოს მაზრის ერობის გამგეობამ დაამტკიცა მოსამართლის თანამდებობაზე შემდეგი პირები: ნ. ელიოზიშვილი, ან. ხუციშვილი, პ. აკოფაშვილი, ტატოსოვისა და დალაქიშვილი. გამგეობამ მაზრა დაჰყო 5 რაიონათ: სარვანის, შულავერის, ეკატერინენფელდის, ბაშკიჩეთის და წილკანის.

## მუნიციპალური ცხოვრება.

### ქიათურის ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა.

1920 წ. 13 იანვარს, ქალაქის თვითმართველობის ბინაზე შესდგა ქიათურის ქალაქის საბჭოს საზეიმო, არა ჩვეულებრივი სხდომა, მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების გამო.

სხდომა გახსნა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ—გ. ა. ანთელაძემ საღამოს 5 ს. 50 წ. მან წაიკითხა დეპეშა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგისა, რომლითაც იგი აუწყებდა ქალაქის თვითმართველობას, რომ მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ ერთხმად აღიარა საქართველოს და აძერბეიჯანის დამოუკიდებლობა და მიულოცა რა საბჭოს თავმჯდომარემ ხმოსნებს ეს დიდი ისტორიული აქტი აღნიშნა, რომ ასი წლის წინეთ ფეოდალური საქართველო მოკვდა, რომ დღეს აღორძინებულიყო დემოკრატიული სახელმწიფოს სახით; საქართველომ დაუმტკიცა მთელ ქვეყანას თავისი პოლიტიკური და კულტურული მომწიფება, მისი დემოკრატიის დავაჟკაცება და ამიტომაც მოკავშირეთ იცნეს მისი დამოუკიდებლობა. საქართველომ გამოიჩინა უნარი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი მუშაობისა და დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ კიდევ უფრო საჭიროა მჭიდროდ შევკრათ ურთიერთ შორის კავშირი, ჩავებათ გაორკეცებული ენერგიით სახელმწიფოს აღმშენებლობით მუშაობაში, რომ მით განვამტკიცოთ საქართველოს სუვერენობა, მისი დამოუკიდებლობა.

დასასრულ მან წინადადება მისცა საბჭოს შეეძლმოს იგი მთავრობის თავმჯდომარეს და დამფუძნებელ კრებას და წაიკითხა ტექსტი დეპეშებისა, რომლებიც ერთხმად იქნა მიღებული საბჭოს მიერ.

#### მთავრობის თავმჯდომარეს:

ქიათურის ქალაქის საბჭო აღფრთოვანებული საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობით, გილოცავთ, მხცოვანო მებრძოლო, ბრწყინვალე გამარჯვებას და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი მთავრობა, თქვენი სახელოვანი ხელმძღვანელობით შესძლებს ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს ყოველმხრივ განმტკიცებას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

#### დამფუძნებელ კრებას:

სალამი ჩვენი ხალხის უზენაესობის განსახიერებას დამფუძნებელ კრებას. დეე დამოუკიდებლობის ცნობის ისტორიულმა აქტმა გაასალკლდევოს მისი რევოლიუციონური ნებისყოფა მიმართული ყოველ-მხრივ სრულ დემოკრატიული სახელმწიფოს უეჭველბრივათ ჩამოსახმისაკენ, რომელშიაც თვალწარმტაცი ფერადებით იქნება ჩაქსოვილი ქართველი ხალხის საუკეთესო ზრახვანი.

ქალაქის მოურავის მოადგილე ევ. თადუამ მიულოცა ხმოსნებს აღიარება საქართველოს დამოუკიდებლობისა ანტანტას მიერ და წარსდგა საბჭოს წინაშე ქალაქის გამგეობის სახელით შემდეგის წინადადებით:

აღსანიშნავად საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა უმაღლესი საბჭოს მიერ: 1) დაარსდეს ქიათურის გიმნაზიაში ერთი სტიპენდია; 2) დაერქვას ფოსტის ქუჩას დამოუკიდებლობის ქუჩა.

ზემოხსენებული წინადადებები ქალაქის საბჭოს მიერ ერთხმათ იქნა მიღებული.

ხმ. ა. ხაბულიანი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის აღსანიშნავად უთუოდ აგებული იქნება შესაფერისი ძეგლი და ფრიად სასურველი იქნება, რომ თუნდაც ჩვენმა ქალაქის თვითმართველობამ მიიღოს თავის თავზე ამის ინიციატივა. თვით კი ხმოსანი სწირავს ამ მიზნისათვის სამას მან.

ხმ. ზ. გურული შემოაქვს წინადადება: შეიმუშაოს თავისი აზრი ქალაქის გამგეობამ ძეგლის აგების და ამ მიზნით სხვა ქალაქებისადმი მიმართვის შესახებ და წარმოუდგინოს საბჭოს შემდეგ მორიგ სხდომაზე, რაც საბჭოს მიერ მიღებულ იქნა.

## სხვა და სხვა

✦ ორშაბათს შესდგება ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც სხვა საკითხთა შორის განხილულ იქნება არტისტიულ საზოგადოების და სხვა შენობათა იძულებითი ჩამორთმევის შესახებ.

✦ დღეს, დღის 12 საათზე დიდუბეში ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადახდილი იქნება პანაშვიდი იქ დაკრძალულ საზოგადო მოღვაწეთა ხსოვნის აღსანიშნავათ.

✦ რედაქციას აუარებელი მოლოცვების დეპეშები და წერილები მოსდის. ვათავსებთ ზოგს: დიდი აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია ჯარის-კაცთა შორის საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ. დიდი რუსეთის თვითმპყრობელობისაგან საუკუნოებით დაჩაგრულ, დატონავებულ და დაბეჩავებულ ქართველ ერს კვლავ მოუბრუნდა თავის სამშობლოს თავისუფლად და დამოუკიდებლად არსებობა, ამით ჩვენი ერის და მისი წარმომადგენლების უმთავრესი მიზანი, საუკეთესო იდეალი განხორციელდა და სამშობლოს—საქართველოს ბედ იღბალი დაგვირგვინდა. ჯარისკაცი ამბაკო პერტახია.

✦ ქიათურის საზოგადოებამ განიცადა უდიდესი სიხარული საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო. ძვირფას სტუმარ ნოე რამიშვილთან ერთათ ვსვამთ თქვენი იმედის და დამცველის სახალხო გვარდიის და სახელოვან ჯარის სადღეგრძელოს. ქალაქის მოურავი მოდებაძე.

✦ ხუთშაბათს, 29 იანვარს, ტფილისის საშუალო პოლიტექნიკური სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ სახაზინო თეატრში დადგმულ იქნება ოპერა „აბესალომ და ეთერი".

✦ დღეს, 25 იანვარს, დილის 10 საათზე დანიშნულია საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის წევრთა წლიური კრება (ვერის დაღმართი, ანანოვას სახ. № 12). განსახილველია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 1920 წ. ხარჯთ აღრიცხვა და სხვა.

## საქართველოს მეცხვარე-მესაქონლეთა წარმომადგენლების ყრილობა.

ყრილობა ერთხმად ამტკიცებს შემდეგ დადგენილებას:

1) არსებული კანონები ზამთარ ზაფხულის ბუნებრივ საძოვრების სარგებლობის შესახებ უცვლელად დარჩეს. მიღებულ იქმნას ზომები, რომ კანონი სავსებით სრულდებოდეს.

2) სახელმწიფო ფონდში მყოფი საძოვრები იჯარით გაიცეს პირდაპირ მესაქონლეებზე და არა შუამავლებზე.

3) საძოვრების განხერა ხდებოდეს ხოლმე ამ საძოვრებით დაინტერესებულ მეცხვარე-მესაქონლეთა წარმომადგენლების თანადასწრებით და მონაწილეობით.

4) მთავრობამ და ერობამ ყურადღება მიაქციოს, რომ ხშირად მეცხვარე—მესაქონლე საძოვრებით სარგებლობისთვის უზომოდ და არა წესიერად იბეგრება და მიიღოს ზომები, რომ მომავალში ამ აუტანელ გადასახადებით არ იჩაგრებოდეს ჩვენი მეცხვარეობა-მესაქონლეობა. მიეცეს ადგილობრივ მესაქონლეთ უპირატესობა სასოფლო საძოვრების იჯარით გაცემის დროს.

5) ამიერ კავკასიაში სამი რესპუბლიკის დაარსებით ბევრი საზამთრო და საზაფხულო საძოვარი ჩვენის რესპუბლიკის საზღვარ-გარედ დარჩა, ამიტომ მიღებულ იქმნას ზომები, რომ უსაძოვროდ დარჩენილთ მიეცეთ საძოვრები რესპუბლიკის საზღვრებში.

6) მთავრობამ მეზობელ რესპუბლიკებთან შესაფერ შეთანხმებით ჩვენს მეცხვარე მესაქონლეთ უნდა გაუადვილოს დროებით სარგებლობა მაინც იმ ჩვეულ საძოვრებით, რომელნიც საზღვარ-გარედ მოჰყვნენ.

7) ვინაიდან ჩვენის სახელმწიფოებრივის ცხოვრების მოუწყობლობის გამო ჩვენს რესპუბლიკის გარედ დარჩა აუარებელი მიწა-წყალი და მათ შორის საკმარისად დიდის სივრცის საძოვრები, რომელნიც წარმოადგენენ ჩვენის ხალხის ისტორიულ საკუთრებას და მასთან ერთად აუცილებელს საჭიროებას მისი მეურნების განსავითარებლად, ამიტომ მთავრობას ვალად ედება შეუნარჩუნოს ჩვენს სახალხო მეურნეობას და კერძოდ მეცხვარე-მესაქონლეთ ბორჩალოსი და ახალქალაქის მაზრებისა და არტაან-ოლთისის და სხვა მხრის საძოვრები რესპუბლიკის საზღვრებში მათი შემცირებით.

## აგრარული რეფორმა შორაპნის მაზრაში.

### ს. მენაღარიშვილის მოხსენება.

(დასასრული)

არ შეიძლება აქ არ ვსთქვა სხვათა შორის იმ მოვლენაზე შორაპნის მაზრაში, რომელსაც შორაპნელ ხრიკს უწოდებენ, დღეს, როდესაც ბრმაც კი ხედავს, რომ რეფორმა ეს ხუმრობა კი არ არის, არამედ მართლაც საბოლოოთ ერთმევა მემამულეებს მიწები. მაშინ იმათ მიმართეს ათას გვარ საშუალებას, რომ ამ რიგათ დარჩენოდათ ნორმაზე მეტი მიწა. ამით აიხსნება ის, რომ 15 ივნისიდან 1919 წ პირველ იანვრამდე ერობას განუხილავს 2000 მეტი საჩივარი. აქედან ცხადია თუ ეს გარემოებაც რამდენად შეუშლიდა ხელს ნაყოფიერ მუშაობას.

აგრეთვე ართულებდა საქმეს, მემამულეების მიერ ერობის გამგეობისაგან კვლევა-ძიების შემდეგ. უარყოფილი საქმეების სამინისტროში გასაჩივრება ერობის გამგეობა თანახმად კანონისა დანიშნულ ვადაში არჩევდა მემამულეების საჩივრებს და საჭირო კვლევა-ძიების შემდეგ ან აკმაყოფილებდა, ან უარით ისტუმრებდა, რის შემდეგ აქტს ამტკიცებდა. მემამულე დაინტერესებულია იმაში, რომ გაეჭიანურებია საქმე გადაქონდა საჩივარი სამინისტროში და იქიდან საქმე ხელ ახლა უბრუნდებოდა ერობის გამგეობას გამოსაძიებლათ.

არა ნაკლებ სხვებზე აგვიანებდა საქმეებს გარდა მდივნისა, სარაიონო კომისიის წევრების უჯამაგიროთ მუშაობა, მუშების უფასოთ მიცემა და სხვა ასეთი. ამ უკანასკნელ დროს კომისიის წევრები გადაჭრით მოითხოვდნენ გასამჯელოს. მუშების უფასო გაწვევა ხდებოდა ზანტათ, ასე გაწვეული მუშები მიდიოდენ კომისიასთან დილის 12 საათზე და წინ სულ ავიწყდებოდათ შეპირება და მეორე დღეს კომისიას უხდებოდა მისი ძიება თუ რატომ არ გამოცხადდა მუშები.

ხშირათ უხდებოდათ კომისიებს უბრალო ოქმების შედგენა, რადგან გადაცემული სია მემამულეთა ან სწორი არ იყო ან და მერმედ მემამულეებს გაეყიდნათ მიწები და ჩამოსართმევი არ აღმოაჩნდათ. ასეთი ოქმები არის შედგენილი ას ოცი (120), რამაც დიდი დრო და მუშაობა მოითხოვა. ცუდი ამინდების გამო შეუძლებელი შეიქმნა ჩამორთმევის მუშაობის გაგრძელება, ამისათვის თანახმად სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების განკარგულებისა, მოიხსნა მუშაობა 1 დეკემბრიდან. საჩხერე ჭალის, მარცხენა-ქიათურის, საზანოს და ძირულის რაიონში, მოხსენებულ რაიონების კომისიების მდივნები, ზოგი დათხოვნილია, ზოგი კი გადაყვანილი სხვა რაიონებში. სხვა ოთხ რაიონებში: ყვირილის, კვალითის, ხარაგოულის და წიფა-მარელისის ეხლაც სწარმოებს მუშაობა მიწების განაწილების მხრით. ყვირილის რაიონის ერთ საზოგადოებაში (ზოვრეთის) განაწილებულია 149 დეს. რომლის განაწილების პროექტიც დამტკიცებულია სამინისტროს მიერ; ხაზინაში შეტანილია მიწების ფასი 300000 მანეთზე მეტი და თანდათან ეხლაც შეაქვთ. კვალითის რაიონში ანაწილებენ 222 დეს. მიწას, ხარაგოულის 196 დეს. და წიფა მარელისის 2000 დეს. რომლის მუშაობაც ახლო მომავალში დამთავრდება. აქაც ხელს უშლის და ართულებს საქმეს კომისიის თავმჯდომარის და წევრის უჯამაგიროთ სამსახური, რომლებიც კატეგორიულათ მოითხოვენ სასყიდელს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ესწრებიან მუშაობას და უამისოდ მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია, ვინაიდან მარტო მდივანს არ შეუძლია ასეთი რთული საქმის წარმოება რაც არც სასურველია და კანონითაც დ უშვებელია.

რეფორმის ცხოვრებაში გატარების დაჩქარებისათვის აუცილებელი საჭიროა გარდა ზემო ნათქვამისა, რომელიც სამიჯნაო წესის შეცვლას ეხებოდა. პირველ მარტიდან უნდა განახლდეს (იქ ეთ მაზრებში სადაც ასეთი არ დამთავრებულა) მიწების ჩამორთმევა, რისთვისაც საჭიროა ეხლავე შეუდგეთ თადარიგს, რომ მაზრისთვის გვყავდეს რიცხვი მიწის მზომლებისა და მდივნებისა, თუ ასეთების შოვნა ძნელია მაშინ გადმოყვანილ იქნან დროებით ისეთ მაზრებიდან, სადაც ეს პირველი ნაწილი რეფორმისა დამთავრებულია. რათა ყველა მაზრებში და რაიონებში დამთავრდეს მიწების კონფისკაცია, რომ ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო ყოველნაირ დავას და გაუგებრობას ამ მხრივ მემამულეთა და სოფლის მიწის მუშებთა შორის.

აუცილებლათ საჭიროა სამინისტროსაგან ან ერობიდან დაენიშნოს ჯამაგირები სარაიონო კომისიის წევრთ და მუდმივ ორ მუშას. აქტების უკანონო შედგენაზე გასაჩივრება უნდა ხდებოდეს მემამულის მიერ თანახმათ 28 ჩანვრის კანონის ინსტრუქციის მესამე პარაგრაფისა ე. ი. საბოლოოდ დადგენილება გამოაქვს ერობის გამგეობას, რომლის შემდეგ მტკიცდება აქტები. მემამულეს ამით უფლება არ ეკარგება გასაჩივრების სამინისტროში, მაგრამ სამინისტრო კი საკითხების გარჩევის დროს უნდა ხელმძღვანელობდეს გამგეობის მიერ მოყვანილი დასაბუთებული დასკვნებით.

აი ყველა ის რაც მე მინდოდა აღმენიშნა შორაპნის მაზრაში აგრარულ რეფორმის გატარების ისტორიიდან. ცხადია, აქ მე საშუაბა არ მქონდა, ამ მოხსენებაში შევხებოდი იმ დეტალებს, რომელიც მართალია მნიშვნელოვანია, აუცილებლათ ითხოვენ გადაჭრას, მაგრამ ეს თვით პრაქტიკულ მუშაობაშივე გაქრება.

## ბათუმის ამბები

სამხედრო გუბერნატორის განკარგულებისა თანახმად ქალაქის ფურნეებში დონის ფულს მიიღებენ 3 თებერვალამდე.

— ამ დღეებში ბათუმიდან სტამბულისაკენ წავა რუს. საზ. გემი „კავკასია".

— შრომის ბირჟაში დაარსებიდან 17 იანვრამდე ჩაწერილა 3718 უმუშევარი. სამუშევარზე გაუგზავნიათ 1192 კაცი.

— მთავრობის დაწესებულებათა ყველა მოსამსახურეები ჯამაგირში 20 იანვრიდან მიიღებენ 1800 მანეთ ქართულ ბონს. დანარჩენს კი დონის ფულს.

— ქობულეთის ადგილობრივ მთავრობამ აუკრძალა ქობულეთის მცხოვრებთ ბათუმში ჩამოიტანონ გასასყიდათ ფქვილი და სხვა სანოვაგე.

— 19 იანვარს ბათუმში მოვიდა იტალიის გემი „ალდო" და ამერიკის გემი „ბეატრისი", რომლებმაც ბათუმში მოიტანეს დიდძალი მანუფაქტურა და საგალანტერეინო საქონელი.

— ამავე დღეს ბათუმიდან გავიდა იტალიის გემი „გრაცი" სხვა და სხვა საქონლით დატვირთული.

— ამ ბოლო დროს ბათუმის ქუჩებში ხშირად შეხვდებით სიმშილისაგან გულშეწუხებულ ხალხს. ქალაქის საავადმყოფოში ამგვარ ავადმყოფთა რიცხვი ყოველ დღე მატულობს.

— 10—14 იანვრამდე ქალაქის საავადმყოფოს სხვა და სხვა საქმეებზე დაუხარჯავთ 100000 მანეთი.

— 30 იანვარს კინემატოგრაფ „ბოგატირი" ს ბუფეტიდან ბოროტ-მოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ძვირფასი სასმელები ღირებული 30000 მანეთად.

— 16 იანვარს, ღამის 1 საათზე დაიწვა ისმაილ-ხაჯი ოღლის ცხენების თავშესაფარი და ერთი ცხენი. ზარალი უდრის 60000 მანეთს.

# სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საკრებულოს სხდომაზე 1920 წლის თებერვლის 11 დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა 10 საათზე).

1. საკასაციო საჩივარი იმერეთის საეპარქიო უწყებისა ტფილისის სასამართლო პალატის 1917 წლ. თებერვლის 28 დადგენილ გადაწყვეტილებაზე კასატორის ეფრემ ვახტანგის ძე, ნიკო და მიხაილ ხრისტესიას ძე და გერმანე ლევანის ძე მდლოკელიძეებთან ქუთაისის მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამართველოს როგორც მესამე პირის მონაწილეობით მამულის საკუთრების უფლების თაობაზე სარჩელის შესახებ.

2. საკასაციო საჩივარი ზალიკო, ბათლომე, კინტირია, ზებე, სპირიდონ, კალისტრატე და ბასილი, იგივე ბუხუტი, ჩოჩუების ტფილისის სასამართლო პალატის 1919 წლ. მარტის 24 დადგენილ გადაწყვეტილებაზე კასატორების ფოთის ქალაქის გამგეობასთან 10000 მანეთის თაობაზე სარჩელის შესახებ.

3. საკასაციო საჩივარი მარიამ ეგნატეს ასული კარაჯევისას ტფილისის სასამართლო პალატის 1919 წლ. (აპრილის 29) მაისის 6 დადგენილ გადაწყვეტილებაზე მარიამ ეგნატეს ასული კარაჯევისა ივანე იაგორის ძე კარაჯევთან 38000 მანეთის თაობაზე სარჩელის შესახებ.

# მილიციაში.

9 დეკემბერს ინჟ. დიმიტრი კლეპაცკიმ განუცხადა სიხლ. სამართ. მილიციას, რომ მსახურმა ალექსანდრა ნიკოლოზის ასულმა სკორიკმა მოჰპარა მას ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტი, ტყავეულობა და ტანისამოსი, ღირებული 1.500.000 მან. სკორიკი დაიმალა. ქურდობის მეორე დღეს მის სახელზე მოვიდა წერილი, რომელშიც იყო ნაჩვენები მისამართი „ბაქო, ბაილოვკა, 147". მაშინვე ბაქოში გაიგზავნა მილიციის აგენტები, მაგრამ სკორიკი იქ არ აღმოჩნდა. ამ საქმის გამო დააპატიმრეს ავეტიკ მინოსიანცი, ალექსანდრა რიაზანოვა და ნიკოლოზ გურიანოვი. ავეტიკ მინოსიანცმა განაცხადა: ალექსანდრა რიაზანოვა გამოუტყდა მას, რომ ნივთები მოუპარავს მას და გურიანოვს სკორიკის დახმარებით, და უკანასკნელი ცხოვრობს ქ. ტფილისში, კოჯორის ქ., № 9 ალექსანდრე პირუმოვთან. სიხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა სკორიკი და პირუმოვი. იმავე დღეს აღმოაჩინეს კლეპაცკის ნივთები, რომელიც პატრონს გადაეცა. დაპატიმრებული რიაზანოვი, მინოსიანცი, გურიანოვი, სკორიკი და პირუმოვი გადაეცნენ მე-10 უბნის გამომძიებელს.

### განცხადებანი

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 5 ნოემბერს 1919 წ. დამტკიცდა ენკენისთვის 26 დღესა 1919 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული მოქ. მელენტი საყვარელას ძე დობორჯგინიძეს მიერ მოქ. სერაფიონ ანტონის ძე კვაჟანაძესადმი და ზაქარია საჩინოს ძე ნეფარიძესადმი, ნაკვეთი მიწისა, სახელდობრ „ფონი", მდებარე ქ. ჭიათურაში, შორაპნის მაზრაში, შენობებით, პირველ ნაწილში აგარაკისა „პატარა პერევისი" იგივე „წინსოფელი" № 1073—ქვეში, ზომით 155 კ. საჟ. 100.000 მან. სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 4.000 მან. მთავარი ამონაწერი 1.000 მ. ღირბის ქაღალდზე მიცემულია 5 ნოემბერს 1919 წ. 0172 1-1

ტფილისის ოლქის სასამართლო ამით აცხადებს, რომ სავაჭრო სახლი „პოლაკ და ამხ." გაკოტრებულად არის გამოცხადებული. ამის გამო საკრებულო ადგენს 1., შეუძლიათ ყადაღა დაადონ მოვალის უძრავ ქონებაზე. 2. აცნობონ ოლქ. სასამართლოს გაკოტრებულ მოვალიდან მათი მოთხოვნის შესახებ. კერძო პირებმა უნდა განუცხადონ ოლქის სასამართლოს: ა. რამდენი მართებს მათი გაკოტრებულს, ან რამდენი ერგება მათგან, ბ. მამულის შესახებ, რომელიც დაგირავებული ან შესანახათ მიბარებული ჰქონდათ გაკოტრებულზე, ან პირიქით მათ ქონდათ დაგირავებული ან შესანახათ მიბარებული გაკოტრებულისაგან. 0370 1—1

შმავონ ბაგდასარის ძე ამიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 23977, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 107 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილებათა საზოგადო კრების ჟურნალიდან 27 დეკემბრიდან 1919 წ. შალვა სანებლიძის თხოვნაზე მისი ნაფიც ვექილის თანაშემწეთ ჩარიცხვის შესახებ დაადგინეს მთხოვნელი შალვა იოსების ძე სანებლიძე იქნეს ჩარიცხული ნაფიც ვექილთა თანაშემწეთა სიაში, ჩაირიცხოს ნაფიც ვექილ საყვარელიძის თანაშემწეთ. 0526 1—1

ბაბილე ვლადიმერის ასული აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი. მპოვნელს სთხოვენ მოიტანოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. 3—1 უ

დაკარგულია პეტროგრადის საერთაშორისო ბანკის როსტოვის განყოფილების ბილეთი №13245 მიღებული 1919 წ. 26 დეკემბერს ოლიმპიადა ათანასის ასულის ვოიცეხულიანის სახელზე 50,000 მანეთის. ბილეთი გაუქმებულათ ითვლება. 131 3—1

არმენაკ ნიკოლოზის ძე აბნაზაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სომხეთის წარმომადგენლიდან როსტოვში და „პროპუსკი" მიღებული საქართველოს რესპუბლიკის კონსულიდან ბათუმში. საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 132 3—1

არტემ ისაკის ძე მარგაროვი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა და მეეტლეობის მოწმობა. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 113 3—1

ბორის სოლომონის ძე ლევინოვ-ნეკელსკი აცხადებს, რომ სხვა დოკუმენტებთან ერთად მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 79 3—1

იოსებ ერმილეს ძე ჩიმაკაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ხონის ვაჟთა პროგიმნაზიის ექვსი კლასის დამთავრების მოწმობა, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 82 3—1

მინდობილობის ფურცელი მიცემული დიმიტრი ისააკის ძე ლავასოვის მიერ, კონსტანტინე კირიაკის ძე ლავასოვის სახელზე, დამტკიცებული ტფილისის ნოტარიუსის მიერ 1919 წ. დღიდან ამ განცხადებისა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 70 3—1

კირილე მალაქის ძე შენგელია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა კულაშის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის 4 კლასის გათავების მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს პატრონს სამტრედიაში, კულაშის საზოგადოება შენგელიას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 72 3—1

დაკარგულია 1918 წ. ქრისტეშობისთვის 31 დღეს ტფილისიდან თელავში გაგზავნილი ერთი ცისტერნა ნავთის დუბლიკატი № 342875, წონა 745 ფუთი. დოკუმენტის მპოვნელს სავაჭრო სახლის "ჩუბინიძის" გამგეობა სთხოვს დაუბრუნოს გამგეობას შემდეგი მისამართით: ტფილისი, აკიმოვის ქუჩა № 1. ორჯონიკიძეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 123 3—1

ნიკო სილიბისტროს ძე ლორია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, გამოწ ნებულის (ქუთ. მაზრა) თემის ერობიდან აღებული. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 124 3—1

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 76485 50—მან. რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 120 3—1

ფოთის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ ხარიტონ ანტონის ძე ქვანიას დაჰკარგვია მისი უვადო პასპორტი მიღებული ფოთის ყოფილ პოლიციის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 97 1—1

ტფ. სამიტროპოლიტო სასამართლოში ოლღა იაგორის ასულმა ძამაშვილმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ქრისტესია იაკობის ძე ძამაშვილი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1910 წელს, უკვალოდ დაიკარგა 1910 წლიდგან, რის გამო აღნიშნული ოლღა იაგორის ასული ძამაშვილისა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ქრისტესია იაკობის ძე ძამაშვილის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვიდან 2 თვის განმავლობაში. 108 1—1

გრიგოლ თომას ძე გოგილაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 99 3 3

ალფესი მუშუას ძე თავაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, პირადობის ბარათი მიღებული რკინის გზის სამმართვ. და სოციალ. დემოკრატიულ პარტიის მანდატი. მპოვნელს სთხოვს გაუგზავნოს ს სამტრედიის მილიციის უფროსს, წინააღმდეგ შემთხვევაში საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 97 3—3

მარიამ ნიკოლოზის ასული ცაციშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლის კანცელარიიდან აღებული ატესტატი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 75 3—3

დიმიტრი ნიკოლოზის ძე რუხვაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული მოსკოვში, მეორე უბნის კომისარიატიდან 1917 წ. № 3750. ნებართვა რევოლვერის ტარების მიღებული ტფილისის საგუბერნიო სამართველოდან. საბუთები გაუქმებულად ჩაითვლება. 100 3—3

გუსეინ ალი ოღლი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 101 3—1

ბესარიონ თევდორეს ძე მარიდაშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ახალქალაქის ერობის გამგეობიდან დეკ. 27 ს № 700. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 103 3—1

დიმიტრი შიოს ძე გელიაშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ახალქალაქის ერობის გამგეობიდან დეკ. 27 ს 1919 წლ. № 701. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 104 3—1

თემურ მუსას ძე სულთანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის წიგნაკი საკუთარი სახლისა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 105 3—1

ელიზა იაგორის ძე ეგოროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თელავის ქალაქის თვითმართველობიდან აღებული უვადო პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 109 3—1

არშაკ გასპარის ძე ლამბროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თელავის სამაზრო ერობის სადმინისტრაციო განყოფილებიდან აღებული 1920 წ. საზღვარ გარეთ წასასვლელი მოწმობა № 39. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 112 3—1

მარია ნიკოლოზის ასული ცაციშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლის კანცელარიიდან აღებული ატესტატი 1895 წ. ატესტატი გაუქმებულად ჩაითვალოს 3—3 75

ივანე ერმოლოზის ძე მაჭავარიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა №195, მიღებული ქუთაისის სამხედრო საკრებულოდან. მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 88 3—3

ქუთაისის პირველ წყალ გაღმა მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ალექსანდრე გერასიმეს ძე რუხაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის რუხაძის ქონებაზე. სამოქ. კან. კრებ. მე X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 0525 1—1

ვლადიმერ სიმონის ძე ხევსურიანი აცხადებს რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 80 3—1

დაკარგულია ტფილისის ყოფილ პოლიცმეისტერის კანცელარიიდან 1917 წ. ნოემბრის 23, სტეფანე არტემის ძე სარქისოვის სახელზე მიცემული პასპორტი № 4912 პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 114 3—1

იოსებ აქსენტის ძე ფულარიანი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი აღებული ქ. ქუთაისის მაზრის უფროსის კანცელარიიდან და უკრაინის 47 ფეხოს. პოლკის კანცელარიიდან აღებული ატესტატი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 118 3—1

ნიკოლოზ დავითის ძე ბურდინოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი № 295, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 119 3—1

იოხა ვოვსევის ასული კატლან-იანკელოვა აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი აღებული განჯის სამმართველოდან 1919 წ. დეკემბრის 20-ს. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს 121 3—1

პოლინა ვოლფოვის ასული კაპლანოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის პოლიტეხნიკუმის კანცელარიიდან აღებული კვიტანცია 489 № იმაში რომ გადახდილია მეორე სემესტრის ფული. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 122 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 7 ნოემბერს 1919 წ. დამტკიცდა მაისის „12" დღესა 1919 წ. შესრულებული საჩუქრების სიგელი მიცემული მოქ.—გიგო ნიკოლოზის ძე დიდიას მიერ—მოქ.—ივანე გიგოს ძე დიდიასადმი, ნაკვეთი მიწა—მდებარე ქალ. ფოთში, მეშვიდე უბანში № 76—ქვეშე, შენობებით, ზომით 720 კ. საჟ. 2000 მანეთად უსასყიდლოთ გასული მამულისა—60 მან.

მთავარი ამონაწერი 20 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 7 ნოემბერს 1919 წ.
0175 1—1

ლანჩხუთის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს ბოქაული ჩხიკვიშვილი ამით აცხადებს, რომ ოცდა თერთმეტ (31) იანვარს 1920 წ. დილის ათ საათზე ქალაქ ლანჩხუთში ვალდებულის სახლში გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება მცხოვრების ქალაქ ლანჩხუთში ივანე კალანდარიშვილისა, რომელიც შეიცავს ერთ ქართულ ურემს, ექვსას კონა სიმინდის ჩალას და შინაურ პირუტყვებს, შეფასებულს შვიდას ორმოც მანეთად, დასაკმაყოფილებლათ მარიამ დოლიძის ვალისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასების ჯამიდან. გასაყიდი ქონების ნახვა შეიძლება გასყიდვის დღეს. 029 1—1

მიწათ მოქმედების მინისტრის რწმუნებული ახალციხე და ახალქალაქის მაზრაში ამით აცხადებს, რომ რადგან მინისტრმა არ დაამტკიცა წარსულ 21 დეკემბერს მომხდარი საჯარო ვაჭრობა ხეხილის ბაღისა სოფ. ბენარაში ახალციხის მაზრაში იჯარით გასაცემათ მეორეთ ინიშნება ამ ბაღის საჯარო ვაჭრობით გაცემა 6 თებერვალს, 12 საათზე დღისით ქალ. ახალციხეში, ორბელიანის სახლში დაბეჭდილი ბარათების დაშვებით. პირადი ვაჭრობის მსურველთ უნდა შემოიტანონ განცხადება ორ მანეთიანი საღერბო მარკით. აგრეთვე უნდა იყოს წარმოდგენილი ბეთ 23,000 მ.ნ. არა უგვიანეს 6 თებერვალს შუადღის 12 საათისა. დაწვრილებითი პირობების განხილვა ხსენებულ ბაღის შესახებ შეიძლება ახალციხეში ზემოხსენებულ რწმუნებულის კანცელიარიაში და ქალ. ტფილისში მიწათმოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილებაში (ევანგულოვის ქუჩა № 2) ყოველ დღე 12—3 საათამდე. 110 1—1

## საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი

ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რკინის გზის სატვირთო ბარათი (ნაკლადნოია) ბაქო-ტფილისი № 106302, რაიც ამის გამო გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს. 96 3—3

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

კვირას, იანვრის 25-ს, დილით ვიშემირსკაიას ბენეფისი **გენზელი და გრეთელი.**

საღამოს **აიდა.** ორშაბათს, იანვრის 26, სტუდენტის დღეს **ქეთო და კოტე.**

სამშაბათს, იანვრის 27 ს „სოფლის პატივი და ჯამბაზები". ოთხშაბათს, იანვრის 28-ს ზელინსკაიას ბენეფისი „ლაკმე". ხუთშაბათს „აბესალომ და ეთერი". 114